

## ქართველთა ლოგოსთიკა

### ვაჟა-ფშაველას ენობრივი ფენომენი

დიდი საკვირველება მოხდა: ვაჟა-ფშაველას, ამ გენიოს შემოქმედს, თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ფუძემდებელთაგანს, „შვლის ნუკრის ნაამბობის“, „ხმელი წიფელისა“ და მისთანათა (რომელი ერთი დავასახელო!) ავტორს ენა დავუწუნეთ. ყველამ, ვინც ეს დავუშვით, შევცოდეთ.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ წინაშე აღიმართება ქართული ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიის უმნიშვნელოვანესი და ურთულესი პრობლემა.

ვაჟა-ფშაველა წმინდა ქართულის სათავეს დაეძებდა, რაზედაც წერდა კიდევ: „ეს სათავე ენისა გახლავთ ძველთა ნიჭიერ მწერალთა ნაწარმოებნი, ის ქართული თემები, სადაც დღევანდლამდე შენახულა შეუბღალავად, უმწიკვლოდ ქართული ენა. სხვებს რომ თავი დავანებოთ, ნიჭიერ მწერლებად და ენის მაგალითად ჩვენთვის მხოლოდ ორი მწერალი კმარა — შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი, გაურყენელი ენით მოსაუბრედ კიდევ მთიულნი, რომლებთანაც მე მაქვს დამოკიდებულება, და ამ გაკიცხულს ფორმებსაც იმათგან ვიძენ, ნუ გგონიათ ფორმებს ვთხზავდე, ღმერთმა დამიფაროს!“-ო.

ქართული ენის მრავალ კილოთაგან ყველანი უაღრესად ძვირფასია ჩვენთვის, მაგრამ ხანგრძლივი ისტორიის მქონე ძველ ქართულთან ის მჭიდრო ერთობა და კავშირი, როგორც ფშავ-ხევსურულის სახით აქვს ჩვენს მთას, არცერთს არ გამოჰყოლია. ეს არის უპირველეს ყოვლისა მწყობრად დაცული ზმნური პრეფიქსები და სუფიქსები<sup>1</sup>, სიტყვათა შეხამებანი.

ამიტომაც არის, რომ ქართული მთის ეს ფშავ-ხევსურული მეტყველება იქცევა მრავალსაუკუნოვანი ძველი ქართული ენის ცოცხალ ნაკრძალად და მას განსაკუთრებული გაფრთხილება უნდა. ეს იცის ვაჟამ, ამას გრძნობს იგი მთელი არსებით, ამაში დაინახა მან „ქართულის გვარი“ და ამიტომაც მის მდიდარ ხალხურ პოეზიას კრძალვით ეკიდება, ხელს არ ახლებს მის მონუმენტურ სახეებს<sup>2</sup>, პირდაპირ იმეორებს მათ ისე, რომ ჭირს იმის გარჩევა, სად თავდება ხალხური ვარიანტი და სად იწყება ვაჟა. ეს ეამაყება კიდევ ვაჟას.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნო ერთი საგულისხმო მოვლენა: ზოგი თანამედროვე ქართველი პოეტი (უმთავრესად დასავლეთიდან გამოსულნი) ლექსებს ფშაური პოეზიის ყაიდაზე მართავენ (თავად ანაც კი!). ამკარა ჩანს ფშაური პოეზიის ხიბლი და მიზიდულობა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> საგულისხმოა, რომ სწავლის შთამაც ცალკეულ შემთხვევაში ცოცხლად შემოგვინახა ძველი ქართული ზმნის თავისებურება.

<sup>2</sup> უნდა შევნიშნოთ, რომ სხვა დიალექტებშიაც პროზაულ და პოეტურ ვარიანტების შედარებისას უკეთ არის დაცული არქაული სახეობები პოეზიის ენაში.

<sup>3</sup> შეიძლება ამა თუ იმ კილოს ენობრივი „საქცევი“ ჩვენ მოგვწონდეს, ჩვენთვის ახლობელი იყოს, მაგრამ ქართული სამწერლო ენის დონეზე მათი დაყენება სრულიად გაუმართლებელია. ფშავ-ხევსურულის აღნიშნულ ფაქტთან ანალოგია გაუმართლებელია. სწორედ იმიტომ, რომ ისინი საკმად შეცვლილნი არიან და დაშორებულნი იმ საერთო ამოსავალს.

Ketevan Lomtadze

### **Vazha-Pshavela's Linguistic Phenomenon**

#### Summary

Some of the critics subevaluated Vazha's Language. This was a real sin. Among the numerous dialect of the Georgian language, Pshav-Khevsurian is outstanding with its close unity and links with old Georgian. First of all this is clearly seen in systematically preserved verbal prefixes and suffixes word-collocations. This fact was felt by the poet and, therefore, he tried not to intervene in the monumental images of Pshav-Khevsurian folk poetry. Hence, it is hard to distinguish the boundaries between the folk variant and Vazha's original lines.